ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის

სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)

ფრიდონ კილაძე

ტურიზმის პოლიტიკა საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ფინანსების მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ბესიკ ბაუჩაძე

ეკონომიკის დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

ხიჭაური - 20

ანოტაცია

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ტურიზმის სექტორი. საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიას დიდი პოტენციალი გააჩნია ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის სრულყოფის, სამუშაო ადგილების შექმნის, ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

ქვეყნის რესურსული პოტენციალიდან გამომდინარე, საქართველოსათვის პრიორიტეტულია ტურიზმის განვითარება. ქვეყანამ უნდა გამოიყენოს გეოსტრატეგიული მდებარეობა და უზრუნველყოს სატრანზიტო და რეგიონული ჰაბის ფუნქციის შესრულება. აღნიშნული პროცესი არის ძალიან რთული და იგი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ქვეყნის განვითარების ვექტორის ძიების პროცესში აუცილებლად უნდა მოხდეს კულტურული, მენტალური ფაქტორების გათვალისწინება, ასევე, საზღვარგარეთ გამოყენებული სტრატეგიების შესწავლა.

ტურიზმს, ისე როგორც სხვა ეკონომიკურ სექტორს სტაბილურად განვითარებისათვის სჭირდება შესაბამისი პოლიტიკის ჩამოყალიბება, როგორც ეროვნული, ასევე ლოკალური, რეგიონული განვითარების თვალსაზრისით. ტურიზმში პოლიტიკის შემუშავება აუცილებელია იმისათვის, რომ ეფექტიანად მივაღწიოთ დასახულ მიზნებს, რომელიც ჩამოყალიბდა კონკრეტული ქვეყნის, ან რეგიონის მასშტაბით მოკლევადიან და გრძელვადიან დინამიკაში.

წინამდებარე ნაშრომში განხილული გვაქვს საქართველოში არსებული ტურიზმის პოლიტიკა, საქართველოს ტურისტული პოტენციალი, საქართველოში არსებული ტურიზმის სახეობები.

Annotation

The tourism sector plays an important role in achieving high economic progress and economic improvement of the country. The tourism industry has great potential in Georgia in agreement of improving the economic structure of the country, creation of jobs and attracting new investments.

As a result of the resource potential of country tourism development is the priority for Georgia. The country must use its valuable location and ensure the transit and regional hub function. This process is very challenging and it depends on many factors. In the process of searching the development vector of region , cultural and mental factors must be taken into consideration, in addition to study approaches that are used in foreign countries.

Tourism, as well as other economic sectors, needs to develop with appropriate politics for stability, in condition of national also the local and regional development. Policy development in tourism is essential in order to effectively achieve the goals set out in the short-term and long-term motions beyond a specific country or region.

In this research I have obviously discussed tourism policy in Georgia, tourism potential of Georgia and types of tourism in Georgia.

შესავალი ---------- **5**

თავი I. ტურიზმის ისტორიის ევოლუცია და ტურიზმის პოლიტიკის მნიშვნელობა ტურისტული სექტორის განვითარებაში---------- **7**

1.1. ტურიზმის ისტორიის ევოლუცია----------7

1.2. ტურიზმის განვითარების ისტორია საქართველოში----------9

1.3. ტურიზმის პოლიტიკის მნიშვნელობა ტურისტული სექტორის განვითარებაში---------- 11

თავი II. ტურიზმი საქართველოში----------**15**

2.1. ტურიზმის ინდუსტრიის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში--------15

2.2. საერთაშორისო და შიდა ტურიზმის საქართველოში----------25

თავი III. ტურისტული საქმიანობის ინსტიტუციური - სამართლებრივი რეგულირება და ტურიზმის სტრატეგია საქართველოში ----------**36**

3.1. ტურისტული საქმიანობის ინტიტუციური და სამართლებრივი რეგულირება საქართველოში ---------- 36

3.2. ტურიზმის სტრატეგია საქართველოში----------41

დასკვნა----------**47**

გამოყენებული ლიტერატურა----------**49**

თემის აქტუალობა. საქართველო წარმოადგენს გარდამავალი ეკონომიკის სახელმწიფოს, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეკონომიკის განვითარებას. ტურიზმი კი ამ მხრივ ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგს წარმოადგენს. ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება ქვეყნებისთვის ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობებს იძლევა. ტურიზმი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა მსოფლიო მასშტაბით, რასაც ადასტურებს ინდუსტრიის განვითარების ინდიკატორები. ტურიზმი და მასპინძლობა მნიშვნელოვანი ეკონომიკური აქტივობაა, როგორც ცალკეული ქვეყნებისთვის ასევე რეგიონებისათვის.

ტურიზმის განვითარების სწორი, პრაგმატული პოლიტიკის ჩამოყალიბება ახდენს ტურიზმის ინდუსტრიის დადებითი ეფექტების სტიმულირებას, რეზიდენტების შემოსავლების ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას, გადასახადების გენერირებას, უცხოური ვალუტის შემოდინებას, საქონლისა და მომსახურების წარმოებას სხვა მომიჯნავე სექტორებში, რეგიონის, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ამასთან, სწორი პოლიტიკა უზრუნველყოფს ისეთი შესაძლო ნეგატიური ეფექტების შეზღუდვას, როგორიცაა, უარყოფითი სოციალურ- კულტურული გავლენა, გარემოს დაბინძურება, ადგილობრივი რეზიდენტების ეკონომიკური სარგებლის შემცირება , სანაპირო ზოლის, ტურისტული დანიშნულების ადგილების გადატვირთვა და სხვა.

საქართველოს ტურიზმის პოლიტიკა, როგორც საზოგადოებაზე ორიენტირებული პროგრესული კურსი, ეთიკურ ჩარჩოში მოქცეული მოქმედებების, მიმართულებების, დირექტივების, პრინციპების და პროცესების ერთობლიობაა, რომელიც გამიზნული დაგეგმვით, განვითარების ხელშეწყობით, საქონლისა და მომსახურების წარმოების სტიმულირებით, მდგრადი განვითარების პრინციპების გამოყენებით ქმნის საფუძველს ინდუსტრიის განვითარებისათვის.

კვლევის მიზანი და ამოცანები - კვლევის **მიზანია** ტურიზმის ინდუსტრიის მდგრადი განვითარების მასტიმულირებელი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა, რაც თავის მხრივ, გულისხმობს ტურიზმის ინდუსტრიის სისტემურ ანალიზს, მისი განვითარების დეტერმინანტების გამოვლენას და პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრას ეროვნულ და რეგიონულ დონეზე.

კვლევის ამოცანაა- გაავანალიზოთ საქართველოს ტურიზმის პოლიტიკა და ვიმსჯელოთ საქართველოს ტურიზმის პოტენციალზე სახელმწიფოებრივ და რეგიონალურ ჭრილში , დავადგინოთ და განვსაზღვროთ ყველა ის ფაქტორი რომელიც ხელს უშლის საქართველოში ტურიზმის პოლიტიკის ჩამოყალიბების კონცეფციას.

კვლევის საგანი და ობიექტი - ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ტურიზმის მდგრადი განვითარების პოლიტიკა და მისი განხორციელების მექანიზმი საქართველოში. კვლევის ობიექტია: ტურიზმის პოლიტიკის გავლენა ეკონომიკური სუბიექტების ფუნქციონირებაზე და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

გამოყენებული მეთოდოლოდია - ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის, სტატისტიკური, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ტექნიკა.

თავი I

ტურიზმის ისტორიის ევოლუცია და ტურიზმის პოლიტიკის მნიშვნელობა ტურისტული სექტორის განვითარებაში

1.1 ტურიზმის ისტორიის ევოლუცია

ტურიზმის ინდუსტრია გახდა ერთ-ერთი ყველაზე დინამიური ინდუსტრია მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რამდენადაც ის ერგება ტექნოლოგიურ ცვლილებას, პროდუქტის ინოვაციებსა და ახალ ბაზრებს. მდგრადი ტურიზმის მართვა დღევანდელ მსოფლიოში მატებს ტურიზმის ინდუსტრიის ზრდის მნიშვნელოვან პარამეტრს. პოლიტიკა, რომელიც ჩვენ დავსახეთ ტურიზმისათვის მუდმივად ცვალებად სამყაროში, მომავალში მიმართული იქნება მგზავრობისა და ტურიზმის ინდუსტრიისთვის მოქმედების წესზე.

ტურიზმი დასვენების, თავისუფალი დროის ხარჯვის ან ბიზნეს მიზნებით მოგზაურობას ნიშნავს. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია ტურისტებს შემდეგნაირად განმარტავს: „ხალხი, რომელიც ტოვებს თავის ჩვეულ გარემოს და მიემგზავრება სხვა ადგილას ერთ თანამიმდევრულ წელზე ნაკლები ხნით, დასვენების, თავისუფალი დროის ხარჯვის ან სხვა მიზნებით.

ტურიზმი პოპულარული, გლობალური საქმიანობა გახდა 2010 წელს, მსოფლიო მასშტაბით 940 მილიონი საერთაშორისო ტურისტული ჩასვლა განხორციელდა, რაც 6,6 %-იანი ზრდა იყო 2009 წელთან შედარებით. 2010 წელს, საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 919 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა (693

მლრდ ევრო), რაც წინა წელთან შედარებით 4,7 %-იანი ზრდა იყო. 2000-იანი წლების ბოლოს დატრიალებულმა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ტურიზმზე საგრძნობლად უარყოფითად იმოქმედა, დაღმასვლა დაიწყო 2008 წლის ივნისში და ამავე წელს საერთაშორისო ტურისტული ჩასვლების რიცხვმა 2%-ით იკლო. ეს ნეგატიური ტენდენცია კიდევ უფრო ინტენსიური გახდა 2009 წელს, რადგან ბევრ ქვეყანაში იფეთქა H1N1 ვირუსმა, რასაც საერთაშორისო ტურისტული ჩასვლების 4%-იანი კლება მოჰყვა და მან 880 მილიონი შეადგინა, მიღებული შემოსავლები კი 6%-ით შემცირდა.

ტურიზმის ისტორია იწყება უძველესი პერიოდიდან, როცა დასვენებისა და გართობის მიზნით გამგზავრება პირველად პოპულარული გახდა ძველ რომაელებს შორის, რომლებიც ძირითადად პირამიდების დასათვალიერებლად მიემგზავრ-ებოდნენ. შემდგომში მოგზაურობის ფორმები და გეოგრაფია ფართოვდება. უფრო მრავალფეროვანი ხდება ამ მოგზაურობის მიზნებიც: სანახაობრივი, სასწავლო, რელიგიური და სხვა. შენდება მოგზაურთა დროებით გასაჩერებელი სახლები, სასტუმროები, ქარვასლები, სტუმრის სახლები, ელიტარული ფენების წარმომადგენელთათვის საზაფხულო აგარაკები, რეზიდენციები. მოსახლეობის იმ შეძლებული ფენების წარმომადგენლებს, ვინც ცნობისმოყვარეობისათვის მოგზაურობდა უცხო ქვეყნებში, XVII საუკუნის მიწურულიდან ტურისტებს უწოდებდნენ. სამრეწველო რევოლუციის შემდეგ, XVIII-XIX საუკუნებში გამოგონებულ იქნა ორთქლმავალი და მატარებელი, რამაც არსებითი ზეგავლენა იქონია მოგზაურობის გააქტიურებაზე. პოპულარული ხდება მოდების მოყვარულთა გამგზავრება პარიზში, მუსიკის მოყვარულთა - იტალიაში, ხოლო ევროპის სხვადასხვა ქალაქებში სასწავლებლად გამგზავრებამ დიდი ტურის სახელი მიიღო. სწორედ ამ პერიოდში, 1841 წელს ინგლისელმა სასულიერო პირმა თომას კუკმა პირველად გაუწია ჯგუფის გამგზავრებას კომერციული მომსახურება. ორგანიზებული ჯგუფური ტური, რომელშიც შედიოდა 20 წუთიანი მგზავრობა რკინიგზით, ჩაის, ფუნთუშების და სასულე ორკესტრის თანხლებით. გზაში ექსკურსიამძღოლის ფუნქცია თავად კუკმავე იკისრა. ამ მოგზაურობაში მონაწილეობა მიიღო 450-მა ადაიანმა და თითოეულისთვის 1 შილინგად ფასობდა. კუკის ეს ქმედება ემსახურებოდა უფრო სოციალურ მიზნებს,

ვიდრე კომერციულს. ის მიისწრაფოდა ამ ქმედებით ეჩვენებინა, რომ შეიძლება თავისუფალი დროის მიზანშეწონილად გამოყენება. მიუხედავად ამისა, ეს ფაქტი ორგანიზებული, კომერციული ტურიზმის პირველ ნაბიჯადაა მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთში დღესაც არსებობს ეს ტურისტული ფირმა სახელწოდებით ''Thomas Cook and Son,,.

XX საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ავტომობილის გამოგონება, თუმცა პირველ მსოფლიო ომამდე ტურისტთა ძირითადი ნაკადი მაინც სარკინიგზო და სანაოსნო ტრანსპორტით სარგებლობდა. 20-30-იან წლებში ჩნდება ტრანსპორტის კიდევ ერთი ეფექტიანი საშუალება - თვითმფრინავი, რაც აძლიერებს ტურისტულ აქტივობას.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება მასობრივი საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ხანა. 1950 წელს, საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა 25 მილიონს აღწევს, 1970წელს — 170 მილიონს, 1990 წელს — 400 მილიონს. ამჟამად თითქმის ყველა ადამიანი მეტნაკლებად ჩაბმულია ტურისტულ საქმიანობაში. XX საუკუნის ბოლოს მთელ მსოფლიოში 4,5 მილიარდი ტურისტი მოგზაურობდა, მათ შორის 10% საერთაშორისო ტურისტები იყვნენ და ყოველწლიურად ხარჯავდნენ 100-150 მილიარდ აშშ დოლარს.

ტურისტული მოგზაურობის გეოგრაფია გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. საერთაშორისო ტურისტების 2/3 ევროპის ქვეყნებში მოგზაურობს. შემდეგ ყველაზე პოპულარული რეგიონია ამერიკა, რომლის წილად მოდის ტურისტების 20%, აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის ქვეყნებზე მოდის 10%, აფრიკაზე 3%.

1.2 ტურიზმის განვითარების ისტორია საქართველოში

ტურიზმი წლების განმავლობაში ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი იყო და მთავრობის მხრიდან მისი მასტიმულირებელი

არაერთი ღონისძიება გატარებულა. ტურიზმს, მართლაც განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია საქართველოსთვის, ვინაიდან საქართველო გამოირჩევა ლამაზი ბუნებით, ისტორიული შენობა-ნაგებობებით, მრავალმხრივი ლანდშაფტითა და სტუმართმოყვარე ხალხით.

საქართველოში ტურიზმის განვითარება 19-20 საუკუნეების მიჯნაზე იწყება. ფაქტიურად იგი მასშტაბურ ხასიათს 20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლებიდან იღებს. ამ პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა კეთილმოწყობილი ტურისტული ბაზები და სასტუმროები თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ვარძიაში და სხვა. დაიწყო ტურიზმის აღმშენებლობის პროცესი გაგრაში, ქობულეთში, აბასთუმანში, წყალტუბოში და სხვა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართელოს აღერიცხებოდა 624 სასტუმრო, ტურისტული ბაზა, მოტელი, კემპინგი და სხვა მსგავსი დაწესებულება, რაც ჯამში 1522 ათასს ადგილს შეადგენდა. შედარებით სუსტი იყო სამოქალაქო სასტუმროების ქსელის განვითარება. ეს მონაცემები თავისთავად მეტყველებდნენ საქართველოს დიდ ტურისტულ პოტენციალზე, მაგრამ მათ მიღმა უნდა დავინახოთ ის, რომ ტურიზმი, რომელიც არსებობდა გასული საუკუნის 80 წლებში, თავისი ფორმით და შინაარსით წარსულს ჩაბარდა. მასთანავე დაგვიტოვა ბევრი არასწორი შეხედულება და სტერეოტიპი.

ამჟამად საქართველოში ტურიზმი თვისობრივად ახალ სისტემაზე გადადის და ამ გარდამავალ ეტაპზე მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა უხდება. საქართველოს გააჩნია უდიდესი ტურისტული და საკურორტო პოტენციალი. საქართველო ამჟამად აღიქმება როგორც ახალი, ჯერ კიდევ უცნობი ქვეყანა და ამდენად საინტერესოა მისი აღმოჩენა ყოველი მოგზაურისთვის თუ ტურისტისთვის. ქვეყნის მონახულების სურვილს კიდევ უფრო აძლიერებს 1999 წელს ჩატარებული არქეოლოგიური აღმოჩენა, როდესაც თბილისის მახლობლად, დმანისში აღმოაჩინეს პალეოლითური ხანის უძველესი ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტი, რომელიც თარიღდება 1 მილიონ 700 ათასი წლით. ამ აღმოჩენით საქართველო გახდა პირველი ევროპელის სამშობლო.

ქვეყანაში 12 000 ისტორიული ძეგლი, 150 მუზეუმი და მრავალი საგანძურია, რომელიც დღითიდღე, თანდათანობით იზრდება. საქართველო ოდითგანვე ცნობილია თავისი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით, ამჟამად კი 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილია, კურორტების ძირითადი ნაწილი ზღვის პირას და მთიან რეგიონებშია. საქართველოს წრმომადგენლობა გადის ქვეყნის გარეთ, საიდანაც უფრო მეტი ინფორმაციის გავრცელება ხდება საქართველოზე. რის შედეგადაც საქართველოში იმატებს ტურისტების რაოდენობა. მაგალითად.: 1998 წელს საქართველოს წარმომადგენლობის გახსნა მოხდა ისრაელში, ტელ-ავივში. ამავე წელს თბილისსში ჩატარდა "დიდი აბრეშუმის გზის" ტურიზმის მსოფლიო ფორუმი, 2003 წელს კი თბილისში მოხდა მეოთხე საერთაშორისო ტურისტული ბაზრობის გახსნა.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა სისტემური ხასიათისაა არსებითად დამოკიდებულია, როგორც ეკონომიკურ ასევე პოლიტიკური ფაქტორების გამოყენების ფორმაზე, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თვისებურებებზე.

1.3 ტურიზმის პოლიტიკის მნიშვნელობა ტურისტული სექტორის განვითარებაში

ტურიზმის ინდუსტრიის აქტუალურობა იზრდება მისი დინამიკის თვისებრიობიდან გამომდინარე. თანამედროვე სახით მის განვითარებას საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნეში და აქტიურ როლს ასრულებს ეკონომიკური, სოციალურკულტურული, კულტურათა ინტეგრაციის, გარემოსდაცვითი და სხვა მიმართულებებით. იმისთვის, რომ ტურზმის ინდუსტრია იყოს მდგრადი მომავალში, მნიშვნელოვანია ეფექტური პოლიტიკის დაგეგმვა და განვითარება დღეს.

მერიემ ვებსტერის ონლაინ ლექსიკონი (Merriam-Webster Online Dictionary (2007) ტურიზმის პოლიტიკას განმარტავს, როგორც „გარკვეულ კურს ან მოქმედების მექნიზმს, რომელიც შერჩეულია ალტერნატივებს შორის და მოცემული პირობების ფონზე, მიმდინარე და მომავალი გადაწყვეტილებებების განსაზღვრისთვის“.

ტურიზმს, ისე როგორც სხვა ეკონომიკურ სექტორს სტაბილურად განვითარებისათვის სჭირდება შესაბამისი პოლიტიკის ჩამოყალიბება, როგორც ეროვნული, ასევე ლოკალური, რეგიონული განვითარების თვალსაზრისით. ტურიზმში პოლიტიკის შემუშავება აუცილებელია იმისათვის, რომ ეფექტიანად მივაღწიოთ დასახულ მიზნებს, რომელიც ჩამოყალიბდა კონკრეტული ქვეყნის, ან რეგიონის მასშტაბით მოკლევადიან და გრძელვადიან დინამიკაში. სამეცნიერო ლიტერატურაში ტურიზმის პოლიტიკის სხვადასხვა განმარტებებია მოცემული, გელდნერის და რიტჩის (Charles R. Goeldner, J. R. Brent Ritchie) მიხედვით იგი არის გარკვეული წესების, რეგულაციების, დირექტივების, სტრატეგიების, აქტივობების ნაკრები, რომელიც აუცილებელია დანიშნულების ადგილის განვითარებისა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისათვის. ედგელი და სვანსონი (David L.Edgell, Jason R. Swanson) ყურადღებას ამახვილებენ მარკეტინგზე, დაგეგმვაზე, მდგრად განვითარებაზე. მათი აზრით ტურიზმის პოლიტიკა წარმოადგენს პროგრესულ კურსს, რომელიც მოიცავს მოქმედებებს, მიმართულებებს, დირექტივებს, პრინციპებს და პროცესებს, რომელიც მოქცეულია ეთიკურ ჩარჩოში და ფოკუსირებულია საზოგადოებაზე, რომელშიც მოქმედებების დაგეგმვით, განვითარებით, საქონლისა და მომსახურების წარმოებით, მდგრადი განვითარების პრინციპების გამოყენებით უნდა მოხდეს დანიშნულების ადგილის განვითარება . პოლიტიკა, მისი თვისებრივი ხასიათიდან გამომდინარე, გავლენას ახდენს სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებზე, როგორიცაა ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლება, ტურისტები, ტურიზმის ინდუსტრიის ოპერაციული სექტორები: განთავსება, ატრაქციები, კვების სერვისები, სატრანსპორტო, ტურისტული სერვისები, დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციები და ა.შ. თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისიდან გამომდინარე, პოლიტიკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს

სტეიკჰოლდერებისათვის ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა, რომელშიც შესაძლებელი იქნება მაქსიმალური სარგებლის მიღება და ნეგატიური ეფექტების შეზღუდვა.

პრაგმატული პოლიტიკის ჩამოყალიბებით შესაძლებელია ტურიზმის ინდუსტრიის იმ სიკეთეების წინ წამოწევა, რომელიც აუცილებელია რეგიონის, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. აღნიშნული სიკეთეები სხვადასხვა მაჩვენებელში გამოიხატება, როგორიცაა რეზიდენტების შემოსავლების ზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა, გადასახადების გენერირება, უცხოური ვალუტის შემოდინება და ა.შ. რომელიც სტიმულს აძლევს საქონლისა და მომსახურების წარმოებას სხვა მომიჯნავე სექტორებში. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკის შემუშავების პროცესში, პოზიტიურ ეკონომიკურ სარგებელთან ერთად, არ უნდა გამოგვრჩეს შესაძლო ნეგატიური ეფექტები, რომელიც გამოიხატება უარყოფითი სოციალურ-კულტურული გავლენის, გარემოს დაბინძურების, ადგილობრივი რეზიდენტების ეკონომიკური სარგებლის შეზღუდვის, სანაპირო ზოლის, ტურისტული დანიშნულების ადგილების გადატვირთვის და სხვა მიმართულებით. (**ხოხობია 2016: გვ-9**)

ტურისტული დანიშნულების ადგილის პოლიტიკის ფორმირებისათვის აუცილებელია ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში მიმდინარე პროცესების გაანალიზება როგორც მსოფლიო, ასვე ცალკეული რეგიონების მიხედვით. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში წარმოდგენილია ტურიზმის ინდუსტრიის შემდეგი მიმდინარე ტენდენციები:

- თანამედროვე ეპოქაში განსხვავებულია ტურისტის თვისებრივი მახასიათ-ებლები: ის არის გამოცდილი, დახვეწილი, გემოვნებიანი, მომთხოვნი, ფიზიკურად და ინტელექტუალურად მეტად აქტიური, იზიდავს მაღალხარისხიანი სანახაობები და მომსახურება.
- განსხვავებულია თანამედროვე ტურისტის მოთხოვნილებები. შესაბამისად, მზარდია ახალ ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სპორტული ღონისძიებები, რეკრეაცია, გამაჯანსაღებელი კურორტები, აბაზანები,

ტრადიციული მედიცინა, ეკოტურიზმი. მეტი ტურისტი მოითხოვს სპეციფიკურ პირობებს. ხშირ შემთხვევაში, სურს დასვენებისას დაკავდეს ჰობით.

- პოპულარულია ტრადიციული დასვენების ფორმები: ,,სიძველეებთან შეხება", ისტორიის, რელიგიათა შესწავლა, ბუნების, კულტურული და სათავგადასავლო ტურები, ასევე ფართოვდება ბიზნეს-მოგზაურთა რაოდენობა.
- ტურისტები უპირატესობას ანიჭებენ ხშირ, მაგრამ მოკლევადიან დასვენებას. ამავე დროს, მოინახულებენ მეტ ტურისტულ ობიექტს წლის ყველა სეზონში; იზრდება ხანდაზმულების, უნარშეზღუდულების, აქტიური ინდივიდების დაინტერესება ტურისტული პროდუქტით.
- თანამედროვე ტურისტი მეტად მგრძნობიარეა, დიზაინის, არაეკოლოგიური, ინფრასტრუქტურული ხარვეზების მქონე, ასევე არასწორად დაგეგმილი ტურისტული დანიშნულების ადგილების მიმართ, რაც იწვევს ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს.
- მომხმარებლის და მოთხოვნის ცვლილებებთან ერთად იცვლება ტურისტული კომპანიების მართვის სპეციფიკაც. სარგებლის ოპტიმიზაციის მიღწევა შესაძლებელია გარემოსთან ადაპტაციით, სწორი დაგეგმვის, ტურისტული პროდუქტის მაღალი ხარისხის საშუალებით, რომელიც არ ქმნის ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს. აუცილებელი ხდება ძველი ტურისტული კურორტების მოდერნიზება - გაახლება, რათა უპასუხოს თანამედროვე მოთხოვნებს.
- ტურიზმის სექტორში იზრდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, განსაკუთრებით _ ლოჯისტიკის სისტემის, ონლაინ რეზერვაციის, მარკეტინგის, კერძოდ, ინტერნეტ–მარკეტინგის მიმართულებით, ტურიზმის ინდუსტრია წარმატებულად იყენებს ინტერნეტ-ტექნოლოგიებს. ელექტრონული გაყიდვების მხრივ ტურიზმი უსწრებს მრავალ სექტორს. ტურისტული ფირმებისათვის ინტერნეტი ხდება მნიშვნელოვანი საინფორმაციო და მარკეტინგული იარაღი.
- ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია ინფრასტრუქტურის მზაობა სტუმრების მისაღებად. რეგიონის ან ქვეყნის ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებისათვის საჭიროა ინფრასტრუქტურული პროექტების

განხორციელება, რაც თავის მხრივ, მრავალი სხვა სექტორის და ზოგადად, ამ გეოგრაფიული არეალის ეკონომიკური განვითარების წინაპირობა ხდება .

- ბუნებრივი გარემოს, ისტორიული ადგილების, კულტურული ტრადიციების შესანარჩუნებლად მსოფლიოში გავრცელებული სტრატეგიაა ტურიზმის სექტორის განვითარება. კონსერვაციისთვის საჭირო რესურსების დეფიციტის 11 პირობებში, კონსერვაციის პროგრამების დანერგვისთვის, ავითარებენ ტურიზმის ისეთ სეგმენტებს, როგორიცაა ეკოტურიზმი და კულტურული ტურიზმი.(**ხოხობია 2016: გვ-10**)

თამამად შეგვიძლია ვთქვათ ის , რომ ტურიზმის სექტორის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწორედ ჩამოყალიბებული ტურიზმის პოლიტიკა , რომელიც თავის თავში მოიცავს სამოქმედო გეგმების და ღონისძიებების ერთობლიობას , რომელიც მიმართულია მოცემული დარგის განვითარებისაკენ.აქვე უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტი , რომ ტურიზმის პოლიტიკა იყო დაბალანსებული და აუცილებელია , რომ იყოს მომავალზე ორიენტირებული, დაბალანსებული და ყოვლისმომცველი, რამდენადაც ის აერთიანებს ტურიზმით დაინტერესებული მხარეების ინტერესებს.

თავი II
ტურიზმი საქართველოში

2.1 ტურიზმის ინდუსტრიის როლი საქართველოს ეკომიკის განვითარებაში

საქართველოში მიმდინარე ტრანსფორმაციის წლებში მუდმივი მსჯელობის თუ კამათის საგანია რა როლის შესრულება შეუძლია ტურიზმის და მასპინძლობის ინდუსტრიას ქვეყნის ეკონომიკაში. ეს შეფასებები ხშირ შემთხვევაში სუბიექტურია, იშვითად ეფუძნება კონკრეტულ გათვლებს. აქ ზუსტი დასკვნების გაკეთებას ართულებს ტურიზმის და მასპინძლობის სექტორის სპეციფიკა. ეკონომიკური შედეგების შეფასებისათვის აუცილებელია გამოვიყენოთ ადეკვატური ინსტრუმენტები და მეთოდები . ცხადია, რთულია მომსახურების სექტორის წილის ზუსტი განსაზღვრა

ეკონომიკაში, თუმცა, როგორც გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) გენერალური მდივანი აცხადებს, აშკარაა ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასა და ტურიზმის და მასპინძლობის ინდუსტრიის განვითარებას შორის დადებითი კორელაცია. სექტორი ცალსახად, დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ინდიკატორებზე, ასევე აღსანიშნავია მისი წვლილი „მწვანე" განვითარებაში, კონფლიქტების მოგვარებაში, რეგიონულ, ურბანულ თუ სხვა მომიჯნავე სექტორების განვითარებაში.

დავის საგანია, ტურიზმის და მასპინძლობის ინდუსტრიის ზრდა წარმოადგენს ეკონომიკის ზრდის მიზეზს, თუ შედეგს. შესაბამისად დიდ ინტერესს იწვევს ეკონომიკის ზრდის და ინდუსტრიის ზრდის დინამიკის მაჩვენებლები ეროვნული ეკონომიკების კონტექსტში. პასუხი ამ კითხვაზეც არ არის ერთგვაროვანი, რადგან მსოფლიოში არსებობს ორივე ფაქტის გამყარებისთვის საკმარისი კონკრეტული არგუმენტები. გრენჯერის მიზეზ–შედეგობრივი ტესტების, სტატას მეშვეობით (Granger Causality Test, STATA) დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა იწვევს ტურიზმის განვითარებას და პირიქით, ზოგიერთ ქვეყანაში ტურიზმის წინმსწრებმა ზრდამ განაპირობა ეკონომიკის ზრდა. შემთხვევებში, როცა ტურიზმი ვითარდება წინმსწრებად, აქტუალური ხდება კითხვა – რა იწვევს ტურიზმის განვითარებას? და განსხვავებულია თუ არა ეს ფაქტორები კონკრეტული ქვეყნების მიხედვით.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების საკითხები. მეცნიერ-ეკონომისტების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქვეყნის რესურსული პოტენციალიდან გამომდინარე, ქვეყნისათვის პრიორიტეტული უნდა იყოს ტურიზმის განვითარება. მეორე ნაწილის აზრით, ქვეყანამ უნდა გამოიყენოს გეოსტრატეგიული მდებარეობა და უნდა უზრუნველყოს სატრანზიტო და რეგიონული ჰაბის ფუნქციის შესრულება. აღნიშნული პროცესი არის ძალიან რთული და იგი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ქვეყნის განვითარების ვექტორის ძიების პროცესში აუცილებლად უნდა მოხდეს კულტურული, მენტალური ფაქტორების გათვალისწინება, ასევე საზღვარგარეთ გამოყენებული სტრატეგიების შესწავლა.

ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმის როლი მშპ-ში შეტანილი წვლილით, ადამიანთა ცხოვრების ხარისხსა და ხანგრძლივობაზე მისი ზეგავლენის ეფექტიანობით განისაზღვრება. 2018 წელს საქართველოს მშპ-მა მიმდინარე ფასებში 16.207 მლნ $ შეადგინა, ხოლო მისმა მოცულობამ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 11.013 ლარი(4345.5 $)



დიაგრამა 1. მშპ მიმდინარე ფასებში ,მლნ ლარი

წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

დიაგრამა 2. მშპ მიმდინარე ფასების გამოშვება ერთ სულზე , ათასი ლარი



წყარო: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

წარმატებასა და წარუმატებლობაზე სასაუბროდ ერთგვარი საზომი ერთეული გვჭირდება. ყველაზე გავრცელებული საზომი არის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ ადამიანზე ანუ მშპ ერთ სულზე.(დიაგრამა 1 და დიაგრამა 2) ნაჩვენებია მშპ მიმდინარე ფასებში , ასევე მშპ მინდინარე ფასები ერთ სულზე .დიაგრამებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ყველაზე დიდი მაჩვენებელი ფიქსირდება 2014 სადაც მშპ მიმდინარე ფასებში არის 16,507 ,მლნ $,2015 წელს ფიქსირდება მკვეთრი კლება.დიაგრამა 1 ნათლად ჩანს ,რომ 2016 წლიდან არის ზრდის ტენდენცია ,ამ ყველაფრიდან გამომდინარე შეგვიძლია თამამად ვთქვათ ,რომ სახელმწიფოს არჩეული აქვს სწორი ეკონომიკური პოლიტიკა.

მშპ გაზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტურისმის სექტორი ,რადგანაც ტურიზმი არის საქართველოს პრიორიტეტული დარგი და წლების მანძილზე ვითარდება ვითარდება ტურიზმის პოლიტიკა რაც გამოიხატება იმაში ,რომ 2018 წლის მონაცემებით ტურიზმის წილი საქართველოს მშპ - ში არის 7,6 % ,რაც წინა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელია.

დიაგრამა 3 . ტურიზმის წილი მშპ-ში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტურიზმის სექტორი, ეს არაერთმა ზემოთ მოცემულმა სტატისტიკურმა მონაცემმა დაადასტურა. 2018 წელი მნიშვნელოვანი იყო საგარეო სექტორის აქტივობის, კერძოდ კი საექსპორტო შემოსავლების, ტურისტული შემოსავლებისა და ფულადი გზავნილების, მატების კუთხით. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს მხოლოდ 7.7 პროცენტი შეადგინა, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 2018 წლის მე-3 კვარტალში მიმდინარე ანგარიშის ბალანსი დადებითი იყო, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი შემთხვევაა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე პოზიტიურად მოქმედებდა მომსახურებით ვაჭრობის ბალანსის გაუმჯობესება, რომელიც 2018 წელს 220 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტურისტული შემოსავლების 518 მლნ აშშ დოლარით (19 პროცენტი) ზრდა. ტურიზმის სექტორი საქართველოს ბიუჯედში დეფიციტის შევსების უმნიშვნელოვანესი წყაროა ,რომელსაც მოწმობს საქართველოს ყოველწლიური საგადასახადო ბალანსი.

საგადასახდელო ბალანსი არის მაკროეკონომიკური სტატისტიკური ანგარიში, რომელიც სისტემური სახით ასახავს დროის განსაზღვრულ პერიოდში მოცემულ

ეკონომიკასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორციელებულ ეკონომიკურ ტრანზაქციებს (კვარტალი, წელი). სტრუქტურულად საგადასახდელო ბალანსი შედგება: მიმდინარე ანგარიშის, კაპიტალის ანგარიშისა და ფინანსური ანგარიშისაგან. მიმდინარე ანგარიში მოიცავს საქონელითა და მომსახურებით ვაჭრობის ბალანსს, პირველადი შემოსავლებისა და მეორადი შემოსავალების ბალანსებს. კაპიტალის ანგარიშში აისახება: არამწარმოებლური არაფინანსური აქტივების შეძენა/გაცემა და კაპიტალური ტრანსფერები. ფინანსური ანგარიში მოიცავს: პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებს, ფინანსურ წარმოებულებს, სხვა ინვესტიციებსა და სარეზერვო აქტივებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2018 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მომსახურების ბალანსის გაუმჯობესებამ მოახდინა. მომსახურების პროფიციტის ფარდობამ მშპ-თან 13.8 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 0.4 პროცენტული პუნქტით აღემატება. აბსოლუტურ გამოსახულებაში, მომსახურების დადებითი სალდო 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, 220 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა და 2.24 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ზრდა, უმეტესწილად, კვლავ ტურისტული შემოდინებების მაღალი მაჩვენებლით იყო გამოწვეული. ტურისტულმა შემოსავლებმა, რომელიც მომსახურების ექსპორტის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, 2018 წელს 3.22 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 19.1 პროცენტით აღემატება . ბოლო წლებში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები საქონლით ვაჭრობის დეფიციტის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო გახდა. ტურიმის, რომ საქართველოს ბიუჯეტის პრიორიტეტული დარგია ამის თვალსაცინოთ განვიხილოთ 2018 წლის საგადასახადო ბალანსი.

ცხრილი 1. საქართველოს საგადამხდელო ბალანსი 2014-2018 (მლნ აშშ დოლარი)

	2014	2015	2016	2017	2018
მიმდინარე ანგარიში	**-1,784**	**-1,767**	**-1,890**	**-1,331**	**-1,249**
საქონელი	-4,286	-3,952	-3,883	-3,804	-4,112
ექსპორტი	3,995	3,021	2,865	3,570	4,407
იმპორტი	8,281	6,973	6,747	7,374	8,518
მომსახურება	1,306	1,404	1,577	2,024	2,244
კრედიტი	3,044	3,087	3,313	3,990	4,490
აქედან:ტურისტული შემოსავლები	1,787	1,868	2,111	2,704	3,222
დებეტი	1,738	1,683	1,736	1,966	2,246
პირველადი შემოსავლები (წმინდა)	-230	-338	-706	-825	-744
აქედან : საინვესტიციო შემოსავლები	-893	-827	-1,263	-1,447	-1,441
აქედან : შრომის ანაზღავრება	663	488	558	623	697
მეორადი შემოსავლები(წმინდა)	1,425	1,120	1,121	1,274	1,361
აქედან: სახელმწიფო სექტორი	159	193	232	233	171
აქედან : დანარჩენი სექტორები	1,266	927	889	1,040	1,190

კაპიტალის ანგარიში	**106**	**58**	**56**	**108**	**76**
ფინანსური ანგარიში	**-1,790**	**-1,766**	**-1,754**	**-1,288**	**-1,222**
პირდაპირი ივესტიციები (წმინდა)	-1,411	-1,343	-1,159	-1,625	-892
აქედან :პირდაპირი ინვესტიციები საქართველოდან	1,818	1,659	1,571	1,830	1,184
პორტფფელის ინვესტიცია (წმინდა)	-209	154	-41	77	28
ფინანსური წარმოებულები (გარდა რეზერვებისა) და თანამშრომელთა ოფციონები რეზერვებზე	-8	2	2	0	1
სხვა ინვესტიციები (წმინდა)	-128	-479	-803	17	-639
აქედან : სახელმწიფო სექტორი	-221	-276	-276	-432	-351
აქედან: კერძო სექტორი	93	-202	-527	449	-288
სარეზერვო აქტივები	-33	-99	245	242	279
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები	**-112**	**-58**	**80**	**-65**	**-49**
მნიშვნელოვანი კოეფიციენტები					

სარეზერვო აქტივები მომავალი წლის იმპორტის თვეებში (თვე)	3.7	3.6	3.5	3.6	3.5
ექსპორტი/იმპორტი (საქონელი და მომსახურება)	-70 %	-71 %	-73 %	-81 %	-83 %
მიმდინარე ანგარიში/მშპ	-10.8 %	-12.6 %	-13.1 %	-8.8 %	-7.7 %
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები / მშპ	11.0 %	11.9 %	10.9 %	12.1 %	7.3 %
ტურისტული შემოსავლები / მშპ	10.8 %	13.4 %	14.7 %	17.9 %	19.9 %
პირადი გზავნილები / მშპ	10.8 %	9.2 %	8.9 %	10.2 %	10.8 %

წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი

2018 წლის საგადასახადო ბალანსში ,რომელიც არის მოცემული (ცხრილი 1) სახით ჩანს მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო.მიმდინარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტების მიერ მიმდინარე ოპერაციებს დანარჩენი მსოფლიოს მიმართ და მოიცავს საქონლისა და მომსახურების ბალანსს, პირველად და მეორად შემოსავლებს.

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი და მისი კომპონენტები ინფორმაციას იძლევა დანარჩენ მსოფლიოსთან მიმართებით ქვეყნის საგარეო პოზიციის შესახებ. კერძოდ: თუ მიმდინარე ანგარიშის სალდო დადებითია, ქვეყანა წმინდა დამზოგველია და მისი წმინდა საგარეო აქტივები იზრდება, ხოლო თუ მიმდინარე ანგარიშის სალდო უარყოფითია, ქვეყანა წმინდა მსესხებელია და მისი წმინდა საგარეო აქტივები მცირდება.

განმაპირობებელი ფაქტორებიდან და მაკროგარემოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ცალკეულ შემთხვევებში მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო შესაძლებელია ოპტიმალური პასუხიც იყოს მაკრო გარემოს არსებული განვითარებისათვის. თუმცა მუდმივი/ხანგრძლივვადიანი უარყოფითი სალდო ეკონომიკისათვის გრძელვადიან პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნულ შემთხვევაში ეკონომიკა არსებითად დამოკიდებული ხდება საგარეო კონიუნქტურაზე, რაც შესაძლოა ძლიერი მაკროეკონომიკური რყევების მიზეზიც გახდეს.

2018 წლის საგადასახადო ბალანსში ნათლად ჩანს , რომ მიმდინარე ანგარიშების მომსახურების მუხლში გვაქვს დადებითი სალდო ,რაც განაპირობებს არსებული დეფიციტის შევსებას და უარყოფითი სალდოს მოცულობის შემცირებას . მომსახურების სფეროში მიღებული შემოსავლების დიდი წილი მოდის ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავალით ,რომელმაც 2018 წელს შეადგინა 3,222 მლნ (აშშ დოლარი) რაც რეკორდული მაჩვენებელია საქართველოს ტურიზმის ისტორიაში ტურიზმის სფეროდან მიღებული შმოსავლების თვალსაზრისით. ბოლო წლების განმავლობაში ტურისტების რაოდენობამ საგძნობლად მოიმატა საქართველოსში ამას მოწმობს ის , რომ ყოველწლირად იზრდება ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავალი , ეს ყველაფერი გამოიწვია სწორი ტურისტული პოლიტიკის განვითარებამ. ტურიზმი , რომ ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტული და მაღალშემოსავლიანია დარგია ამას მოწმობს სხვადასხვა კვლევები და შესაბამისად კვლევების საფუძველზე შემდგარი სტატისტიკური მონაცემები.

ცხრილი 2. შემოსავალი საერთაშორისო ტურიზმიდან 2010 წლიდან -2018 წლამდე (მლნ აშშ დოლარი)

კვარტალი / *წელი*	*I* *კვ*	*II* *კვ*	*III* *კვ*	*IV* *კვ*	*სულ*
2010	100,686	136,565	231,913	190,081	659,245
2011	163,990	222,250	326,569	242,101	954,908
2012	235,930	330,827	487,721	356,423	1,410,902
2013	302,818	426,525	604,202	386,156	1,719,700
2014	315,461	429,690	649,775	392,215	1,787,140
2015	305,180	409,470	742,849	410,979	1,868,479
2016	342,590	497,441	813,161	457,517	2,110,709
2017	425,673	629,854	1,078,274	570,538	2,704,340

2018	550,730	809,969	1,210,561	650,814	3,222,074

წყარო : საქართველოს ეროვნული ბანკი

როგორც ზემოთ მოცემულ (ცხრილი 2) ჩანს ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი ყოველწლიურად იზრდება 2018 წელს კი რეკორდული შემოსავალი ფიქსირდება რაც განპიროვნებულია სწორი ტურისტული პოლიტიკის ჩამოყალიბებით.თუ გავიხილავთ შემოსავლებს კვარტალის მიხედვით მოცემული (ცხრილი 2) დავინახავ ,რომ III და IV

კვარტალში შეინიშნება შემოსავლის ზრდის ტენდენცია ,ხოლო I და II კვარტალში შინიშნება 2015 წელს შემოსავლი კლება 2016 წლიდან კი არის ზრდის ტენდენციაა. საერთო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ რომ ტურუზმს საქართველოს ეკონომიკაში მყარი ადგილი უჭირავს და მეტიც ის არის დეფიციტის დაფინანსების ერთ- ერთი მნიშვნელოვანი წყარო.ზემოდ მოცემული დიაგრამები და ცხრილები არის დასტური იმისა , რომ ტურიზმის პოლიტიკა განიცდის განვითარების ტენდენციას რაც აისახება მიღებული შემოსავლების ზრდით ტურიზმის სექტორიდან.

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ასევე შეაჯამა 2019 წლის პირველი კვარტალის მონაცემები.ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით 2019 წლის იანვარ-მარტში საქართველოში ტურისტული ვიზიტების რაოდენობა 882 130 იყო, რაც 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 42 590-ით მეტია. განსაკუთრებული ზრდა ფიქსირდება საჰაერო გზით განხორციელებულ ვიზიტებში,რაც გასულ წელთან შედარებით, მიმდინარე წელს 2,8% -ით მეტია. საერთო ჯამში კი 2019 წლის 3 თვეში საქართველოში 1 617 548 საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტი შედგა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2.2% -ით მეტია. რაც შეეხება საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავლებს 2019 წლის იანვარ-თებერვალში 334 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 15 მილიონით მეტია.

2. 2 საერთაშორისო და შიდა ტურიზმის საქართველოში

საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) გამოკვლევების მიხედვით, ტურიზმი შედის მსოფლიო ქვეყნების 83%-ის მსხვილ საექსპორტო დარგთა ხუთეულში, ხოლო ქვეყნების 38%-ში პირველი ადგილი უჭირავს. 2020 წლისათვის საერთაშორისო ტურისტული მგზავრობების რიცხვი გაიზრდება 1,6 მლრდ-მდე, ე.ი. თითქმის 3- ჯერ, შემოსავლები კი წელიწადში შეადგენს 2 ტრლნ დოლარს.

საერთაშორისო ტურიზმს დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს: მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ტურიზმის ხარჯზე იქმნება სამუშაო ადგილები, იზრდება მოსახლეობის ცხოვრების დონე.

საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი არსებობს. უნიკალური ბუნებრივი რესურსები და მიმზიდველი ტურისტული მარშრუტები, მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლები ქმნის წინაპირობას _ საქართველო გახდეს ტურისტული მომსახურების ერთ-ერთი საუკეთესო მიმწოდებელი ბაზარზე.

საქართველოსთვის საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე გასვლის და ინტეგრირების აუცილებლობა, რაც ქვეყნისთვის სავალუტო შემოსავლების, დასაქმებისა და ცხოვრების დონის ზრდის საფუძველს შექმნის, ამ სფეროში თეორიული და მეთოდოლოგიური დებულებების დამუშავების არასაკმარისობა, გადაუჭრელი პრობლემების არსებობა, რომელთა მიმართ ჯერჯერობით არ არის შემუშავებული პრაქტიკული მიდგომები _ ეს არის საკითხები, რომლებიც განაპირობებს წინამდებარე კვლევის აქტუალობას.

საერთაშორისო ტურიზმს სასიცოხლო მნიშვნელობა საქართველოს ეკომონიკის განვითარების თვალსაზრისით ,რადგანაც საერთაშორისო ტურიზმის მეშვეობით ქვეყანაში შემოედინება უცხოური ვალუტა , რომელიც მნიშვნელოვანია ინფლაციური მოვლენების თავიდან ასაცილებლად .

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2018 წელს გაზრდილია საერთაშორისო ვიზიტების რიცხვი , რომელმაც 2018 წელს 8 679 544 მლნ ადამიანს მიაღწია, რაც 2017 წელთან შედარებით 777 035 ათასი ადამიანით მეტია და პროცენტულად ,რომ ავსახოთ ეს ყველაფერი 9,8 % მეტია წინა წელთან შედარებით.აქვე უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტი ,

რომ 8 679 544 მლნ ადმიანიდან 1 476 194 მლნ იყო სხვა ვიზიტები (არატურისტული) ჯამში საერთაშორისო ვიზიტებს , რომ გამოვავაკლოთ სხვა ვიზიტება გვრჩება 7 203 350 მლნ ადამიანი აქედან ტურისტული ვიზითი იმყოფებოდა საქართველოში 4 756 820 მლნ ,ხოლო დანარჩენი 2 446 530 მლნ იყო ერთღიანი ვიზიტით.

საერთაშორისო მოგზავრობის კლასიფიკაცია შემდეგ გვარად წარმოგბიდგება : **საერათაშორისო მოგზაურების ვიზიტები = საერათაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები + სხვა (არატურისტული) ვიზიტები.**

საერათაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები - ვიზიტორი არის 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით. საქართველოში ჩვეული გარემოს განსასაზღვრად შემდეგი მეთოდი გამოიყენება, ჩვეულ გარემოში ითვლება ის ვიზიტები რომელიც თვეში 8-ჯერ ან 8-ზე მეტჯერ ხორციელდება. საერათაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები იყოფა ორ კატეგორიად ესენია :**ტურისტული ვიზიტები და ერთდღიანი ვიზიტები. (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია)** ტურისტული ვიზიტების ცნების ქვეშ მოისაზრება ტურისტი , რომელმაც ღამე გაათენა საქართველოს ტერიტორიაზე და ერთდღიან ვიზიტებში მოისაზრება ვიზიტორი ,რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე.

(არატურისტული) ვიზიტები- მოიცავს ყველა იმ ვიზიტს, რომელიც არ შედის საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორიცელებული ვიზიტების რაოდენობაში. ეს კატეგორია მოიცავს 14 წლის ან უმცროსი ასაკის მოგზაურების ვიზიტებს და ჩვეულ გარემოში განხორციელებულ ვიზიტებს (8 და 8-ზე მეტი თვეში). **(საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია).**

დიაგრამა 4. საერთაშორისო მოგზაურობის კლასიფიკაცია , ათასი კაცი



წყარო: *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი.*

აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე რაც მოცემული (დიაგრამა 4) ჩანს, თავისუფლად შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე ,რომ ვიზიტორების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება ,რაც მიუთითებუს საქართველოს ტურიზმის სტრატეგიის ეფექტიანობაზე. 2018 წლის მონაცემებს თუ შევადრით წინა წლის მონაცემს დავინახავთ , რომ ცვლილება საგძნობლად დიდია და ის შეადგენს 777 035 ვიზიტორს 9,8 % -ს თუ იმავე წლების მონაცემებში განვიხილავთ ტურისტულ ვიზიტებს ჭრილში 2018 წლის მონაცემებით 687 466 ვიზიტორით მეტია 2017 წელთან შედარებით , რაც 16,9 % -ით მეტია წინა წელთან შედარებით.

ტურისტული სტრატეგიის დაგეგმვის დროს მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სასაზღვრო პოლიტიკის გატარებას ანუ აქ საუბარია საზღვრი კვეთის პროცედურების გამარტივებაზე .ტურიზმის პოლიტიკა გარკვეულ წილად კავშირშია სასაზღვრო პოლიტიკასთან. გავიხილოთ საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები საზღვრის კვეთის მიხედვით 2018 წლის მონაცემების გათვალისწინებით .

დიაგრამა 5. საერთაშორისო ვიზოტერების მიერ განხორციელებული ვიზიტები საზღვრის კვეთის ტიპის მიხედვით , ათასი კაცი



წყარო : შინაგან საქმეთა სამინისტრო, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი.

საქართველოში ტურიზმის ინდუსტრია მთავრობის მიერ ერთერთ პრიორიტეტულ დარგად არის აღიარებული. იგი დასაქმებისა და უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყაროა და მის მიმართ ინტერესი ყოველწლიურად იზრდება. თუმცა როდესაც ტურიზმის განვითარებაზე საუბრობენ ყოველთვის საერთაშორისო მოგზაურებზე კეთდება აქცენტი, შიდა ტურიზმის განვითარება კი უგულვებელყოფილია. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ტურიზმის სტრატეგია 2025, სადაც შიდა ტურიზმის განვითარებას აშკარად მეორეხარისხოვანი როლი აქვს მინიჭებული. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტურისტული ვიზიტების უმრავლესობა

სწორედ შიდა ტურისტულ ვიზიტებს წარმოადგენს. მკვლევართა მიერ დაანგარიშებული იქნა შიდა ტურისტების დანახარჯები, რომელიც საერთაშორისო მოგზაურების დანახარჯებზე ათჯერ უფრო მეტია.

შიდა ტურიზმი - საქართველოში მცხოვრები ფიზიკური პირებისათვის გაწეული ტურისტული მომსახურება მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, ქვეყნის საზღვრებში.(საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ-1997 წელი)

მსოფლიოში შიდა ტურიზმის გაზომვის სხვადასხვა მეთოდი არსებობს. საქართველოში იმისათვის, რომ ვიზიტს მიენიჭოს შიდა ვიზიტის კლასიფიკაცია, ერთდროულად ორი ლოკაციისა და რეგულარობის მეთოდი გამოიყენება. კერძოდ, ბუნებრივი გარემოს უკეთ წარმოსაჩენად მნიშვნელოვანი ფაქტია შიდა ვიზიტი განხორციელდა თუ არა მუნიციპალიტეტის გარეთ. მეორე მეთოდი განსაზღვრავს კონკრეტულად ვიზიტის სიხშირეს. თუ შიდა ვიზიტორი სტუმრობს, სხვა მუნიციპალიტეტს უფრო იშვიათად ვიდრე ორ კვირაში ერთხელ, ეს ვიზიტი არ განიხილება, როგორც რეგულარული. ისტორიულად შიდა ტურიზმი არის ფაქტობრივად ტურიზმის პირველი ფორმა, რომელიც დღესდღეობით ითვლის ტურიზმის სექტორში განხორციელებული აქტივობების უმრავლესობას.(**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია- ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და მსოფლიო გამოცდილება გვ-45).**

საერთაშორისო ტურიზმთან ერთად შიდა ტურიზმის განითრებაც მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის, ამ აზრის გსამყარებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ შიდა ტურიზმის დადებითი მხარეების ანალიზი:

- ✓ რეზიდენტები იღებენ სოციალურ და კულტურულ სარგებელს საკუთარი ქვეყნის სიმდიდრეებისგან.
- ✓ კარგად დაგეგმილი და სწორად მიწოდებული შიდა ტურისტული ღონისძიებები ამაღლებს ცხოვრების დონეს ქვეყანაში.

- ✓ მოგზაურები ერთმანეთში ცვლიან იდეებს და გამოცდილებებს, რაც ხელს უწყობს ტურისტული ეთიკის ჩამოყალიბებას.
- ✓ შიდა ტურიზმი არის საშუალება ვალუტის გადინების შესამცირებლად, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში დაიხარჯებოდა გამყვან ტურიზმზე.
- ✓ შიდა ტურიზმი ახდენს სიმდიდრის გადანაწილებას ქვეყნის შიგნით შედარებით მდიდარი რეგიონიდან ნაკლებად მდიდარი ტურისტული ადგილებისკენ.
- ✓ შემომყვანი ტურიზმის სეზონური არასტაბილურობის დაბალანსება შესაძლებელია შიდა ტურიზმის წახალისებით, შედარებით არასეზონურ პერიოდში.(**ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია**)

შიდა ტურიზმს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეკონომიკურ აქტივობასა და დასაქმებაში, როგორც მსოფლიო ასევე საქართველოს მასშტაბით. 2018 წელს შიდა ტურიზმის დანახარჯების წილმა მსოფლიოში ტურიზმის მთლიან გამოშვებაში 71.2% შეადგინა, ხოლო საერთაშორისო ტურიზმის ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 28.8% იყო.



დიაგრამა 6 : შიდა ვიზიტები (მლნ)

წყარო : საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

(დიაგრამა 6) მოცემული მონაცემებით ჩანს ,რომ 2018 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა შიდა ვიზიტები სხვა წლებთან შედარებით ,რომელმაც 13,1 მლნ ვიზიტი შეადგინა რაც რეკორდული მაჩვენებელია.

აქვე უნდა ავღნიშნოთ ,რომ მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა შიდა მოგზაურობის მიზნებს .2018 წლის შიდა მოგზაურობის ძირითადი მიზნები პროცენტულად შემდეგ ნაირად იყოფა : შიდა ვიზიტების უმრავლესობა მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად (51.8%) განხორციელდა. ვიზიტების შედარებით მცირე რაოდენობა დაფიქსირდა შოპინგის (13.3%) და მკურნალობა, გაჯანსაღების (10.5%) მიზნით ; ხოლო 9.1% შეადგენდა დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელებულ ვიზიტებს ; (7.3 %) მეორე სახლის მონახულება ;(4.4 %)პროფესიული ეკონომიკური საქმიანობა ; (1.6 %) რელიგია,მომლოცველობა ; (0.5 %) განათლების მიღება და 1.5 % სხვა.



დიაგრამა 6 : ვიზიტის მთავარი მიზანი

წყარო : საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

მოცემული (დიაგრამიდა 6) ჩანს ,რომ ტურისტული ვიზიტები საგძნობლად მცირეა .მოცემული მონაცებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელოთ ,აუცილებელი ეფექტური პოლიტიკის გატარება შიდა ტურიზმის ბაზრის განსავითარებლად ,როგორც ავღნიშნეთ შიდა ტურიზმი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტია და მოცემული რესურსის გაფლანგვა გამოიწვევს გამსვლელი ტურიზმის ვიზიტების რაოდენობის ზრდას და თავისთავავად გამოიწვევს უცხოური ვალუტის გადინებას ქვეყნიდან , რაც

სახელმწიფოსათვის არა სასურველი მონეტარული პოლიტიკის განხორციელების კუთხით.აქვე უნდა ავღნიშნოთ ,რომ რათქმაუნდა მცირე რყევები ექნება მოცემულ მოვლენას მაგრამ გარკვეულწილად წლების განმავლობაში უარყოფითად დაუბრუნდება სახელმწიფოს ეკონომიკას.

ასევე მნიშვნელოვანი შიდა ტურიზმი განვიხილოთ რეგიონალურ ჭრილში .2018 წელს შიდა ვიზიტების 26.4% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, შემდეგ მოდის იმერეთი (18.2%) და აჭარა (13.5%).დასვენების მიზნით განხორციელებულ ვიზიტებს შორის ყველაზე ხშირად მონახულებადი რეგიონები იყო: აჭარა (20.5%), მცხეთა - მთიანეთი (17%) და სამცხე - ჯავახეთი (14.7%).



დიაგრამა 7 : მონახულებული რეგიონები

წყარო : საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

მოცემული დიაგრამიდან გამომდინარე ჩანს , რომ ყველაზე დიდი მაჩვენებელი დასვენება ,გართობა რეკრეაციის კუთხით გააჩნია აჭარის რეგიონს .აუცილებელ აღნიშვნას საჭიროებს აჭრის ტურიზმის პოლიტიკა ,რადგანაც 2019 წელს ბათუმმა World Travel Awards-ის პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი გახდა. ტურიზმის ინდუსტრიის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებაზე ბათუმმა ევროპის სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულების ტიტული მიიღო და ისეთ მნიშვნელოვან ნომინანტებზე კონკურენტებზე მოიპოვა გამარჯვება, როგორებიცაა სოფია (ბულგარეთი), მატერა

(იტალია), ბაქო (აზერბაიჯანი), ლუბლიანა (სლოვაკეთი), კუტნა ჰორა (ჩეხეთი), მოსტარი (ბოსნია ჰერცეგოვინა) და დერი (ჩრდილოეთ ირლანდია).აჭარის რეგიონს დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია ზღვის ტურიზმი აჭარაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია. სუბტროპიკული კლიმატი, თბილი ზღვა, კეთილმოწყობილი სანაპიროები, ზღვისა და მთის შერწყმა – ეს ყველაფერი დასვენებისთვის უნიკალურ გარემოს ქმნის. სანაპირო ზოლის სიგრძე 21 კილომეტრია, ზღვის წყლის ტემპერატურა – საშუალოდ, +21-29 გრადუსი.

აჭარის საკურორტო ზონაში შედის: ქობულეთი, ციხისძირი, ჩაქვი, მწვანე კონცხი, ბათუმი, გონიო, კვარიათი, სარფი. ეს ადგილები მნახველს განუმეორებელ შთაბეჭდილებებს დაუტოვებს. სანაპირო ზოლს გადეევნებული და პლაჟის ბუნებრივ საჩრდილობლად ქცეული ფიჭვნარი, ზღვის პირზე გაბნეული ქვები, რომელთა ფორმებსაც წყალი საუკუნეების განმავლობაში აყალიბებდა, ბულვარის მაღალგანვითარებული ინფრასტრუქტურა და გართობის ფართო არჩევანი – სასურველი დასვენების მოწყობას აქ ყველა შეძლებს.

საქართველოს ყველა თავისებურად მშვენიერია, მაგრამ აჭარა არის ადგილი, სადაც ერთიანდებაზღვა, მთა, საინტერესო ტრადიციებისა და ბევრი სხვა მიზეზი რის გამოც უნდა ჩამოხვიდეთ რეგიონში.

აჭარა უძველესი კოლხეთის ნაწილია, ადგილი, სადაც ყველა ძეგლი ისტორიას ინახავს და, თუკი თქვენ ისტორიის ამოკითხვა ძეგლებსა და არტეფაქტებში გიზიდავთ, მსოფლიოს აუცილებლად სანახავი აჭარა ახალი პაემნების ადგილია, სადაც გართობასა თუ დასვენებას წელიწადის ნებისმიერ დროს გემრიელად მოახერხებთ. აჭარაში ბევრია სანახავი და აღმოსაჩენი, განსაკუთრებით, პირველი ჩამოსვლისას, თუმცა, ვერავინ დაგპირდებათ, რომ აქ დაბრუნება არ მოგინდებათ.(**აჭარის ტურიზმის დეპარტანმენტი**)

აჭარა საოცარი ფლორისა და ფაუნის მხარეა. იარუსებად გაზრდილი ნოტიო სუბტროპიკული ტყეები და მათი ბინადრები, ქვიშის დიუნები, ულამაზესი ტბები, ზღვა და ცასთან მიახლოებული მთები - ეს არის ის, რასაც ბუნებასთან ჰარმონიაში ყოფნა ქვია.ადგილების ნუსხაში აჭარა აუცილებლად უნდა შეიტანოთ.

აჭარა ყველა ფერს გთავაზობთ. სად შეძლებთ მათ აღმოჩენას - ვინმეს თვალებში, რომელიმე ისტორიული შენობის ფასადზე თუ ფერად კარებში, რომელიც ბათუმში არაერთია, თქვენზეა დამოკიდებული. მთავარია, ამ აღმოჩენებით ისიამოვნოთ.**(აჭარის ტურიზმის დეპარტანმენტი)** .ასეთი დიდი პოტენციალი ქმნის მონახულების სურვილს სწორედ ერთ ერთი დამსახურებაა ვიზიტების მაღალი მაჩვენებლის.მაგრამ საყურადღებო, რომ ტურიზმის პოლიტიკა მნიშვნელოვნად ვითარდება აჭარაში წლების განმავლობაში. შიდა ტურიზმის განვითარების მხრივ აჭარა თავისი ტურისტული რესურსებით და ტურიზმის პოლიტიკით მნივნელოვან როლს ასრულებს .

აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურიზმის პოლიტიკის განხორციელების ფარგლებში გატარებული მარკეტინგული ღონისძიებები ,რადგანაც მარკეტინგ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოცმული რეგინოს პოპულარიზაციაში და მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებისათვის. 2017-2018 წლებში აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა ონლაინ მარკეტინგის მეშვეობით ინტერნეტის საშვალების განათავსა თავისი რეკლამები 14 სამიზნე ქვეყანაში,სარეკლამო პლატფორმები Google GDN, Google Search, YouTube, Facebook და Instagram,შეიქმნა 3 ახალი ეროვნული ვებ გვერდი და შეიქმნა რეგიონის მობილური აპლიკაციები Android და IOS პლატფორმისთვის. გარე რეკლამები წარმოდგენილია 10 სამიზნე ქვეყანის 35 ქალაქში.2017-2018 წლებში მიიღო მონაწილეობა 52 საერთაშორისო გამოფენაში და 107 ინფო-მედია ტური განახორციელა. ასევ განახორციელა სხვა სარეკლამო აქტიბობები : ვიდეო რეკლამა პოლონეთის (ვარშავა და კატოვიცე) კინოთეატრების დარბაზებში; MOMONDO: ტურისტული ვებპორტალი, ბათუმი მოხვდა ჩამონათვალში 2018 წლის ბიუჯეტური დასვენებისათვის ისეთი ქვეყნების გვერდით, როგორიცაა სერბეთი, ესპანეთი, მაკედონია, აშშ ; NATIONAL GEOGRAPHIC TRAVELLER: სამოგზაურო ჟურნალი, რომლის ,,ევროპის საუკეთესო ტურისტული ქალაქების ათეულში“ მოხვდა ბათუმი ნიცის, პალერმოს, ამსტერდამისა და ოქსფორდის გვერდით.(**აჭარის ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია**). მოცემული მონაცემებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვისაუბროთ

აჭარის ტურიზმის პოლიტიკის ეფექტიანობაზე და ტურიზმის პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობაზე.

საერთო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთაშორისო ტურიზმთან ერთად აუცილებელი შიდა ტურიზმის განვითარება რაც ხელს შეუშლის გამსვლელი ტურისტული ნაკადების რაოდენობის გაზრდას და უფრო აამაღლებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას.შიდა ტურიზმის ჭრილში ვხედავ , რომ აუცილებელი ეფექტური ტურიზმის სტრატეგიის ჩამოყალიბება და განხორციელება.

თავი III

ტურისტული საქმიანობის ინსტიტუციური - სამართლებრივი რეგულირება და ტურიზმის სტრატეგია საქართველოში

3.1 ტურისტული საქმიანობის ინტიტუციური და სამართლებრივი რეგულირება საქართველოში.

ტურიზმის სამართლებრივი უზრუნველყოფის ძირითადი მიზანი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, როგორც დარგის გამართული ფუნქციონირების ნორმატიული უზრუნველყოფა. თუ უფრო დავწვრილმანდებით, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ამოცანა, რომლებიც ტურიზმის სამართლებრივ უზრუნველყოფას აკისრია: – კომპეტენციების გამიჯვნა ცენტრალურ, ტერიტორიულ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ტურიზმის დარგში „თამაშის წესების" დადგენა ტურისტული ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის სახელშეკრულებო, მომხმარებლებთან, სახელმწიფოსთან და ერთმანეთთან ურთიერთობების სფეროში; – ტურიზმის პროდუქტის ხარისხობრივი სტანდარტების დადგენა; ტურისტული რესურსებით სარგებლობის წესებისა და ნორმების დადგენა; ტურიზმის აღრიცხვიანობის წესების ჩამოყალიბება (**ჩაგანავა** 2012:62) .

ქვეყნის ტერიტორიაზე ტურისტული საქმიანობის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტს **საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ" ; საქართველოს კანონი საქართველოდან შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტების აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ ; საქართველოს კანონუნი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ ; საქართველოს კანონი თავისუფალი ტურისტული განვითარების ხელშეწყობის შესახებ და საქართველოს კანონი ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ.**

საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ- არეგულირებს ტურიზმისა და საკურორტო სფეროში არსებულ ურთიერთობებს.

კანონის მე-2 მუხლი განსაზღვრავს ტურისტულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად ცნებებს: ტურიზმი; ტურისტი; სამკურნალო ტურიზმი; ტურისტული რესურსები;

ბუნებრივი სამკურნალო (საკურორტო) რესურსები; საკურორტო ადგილი; კურორტი; კუ- რორტზე არსებული სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ობიექტი; სანიტარიული დაცვის ზონა; ტურისტული და საკურორტო საქმიანობის სუბიექტი (დარგის სუბიექტი); ტურისტუ- ლი საქმიანობა; საკურორტო საქმიანობა; ტურისტული და საკურორტო ინდუსტრია; ტურისტული პროდუქტი, ტურისტული მომსახურების პაკეტი; ტურისტული საგზური (ვაუ- ჩერი); ტური; არაორგანიზებული ტურისტი; შესაბამისობის სერტიფიკატი; შიდა ტურიზმი; ტუროპერატორი; ტურაგენტი; ექსკურსია, ექსკურსანტი, ექსკურსიამძღოლი; ტურისტული ლაშქრობა; ტურისტული მოგზაურობა.

კანონის მე-3 მუხლი განსაზღვრავს საქართველოს საკურორტო რესურსებსა და მათით სარგებლობის ძირითად პრინციპებს.

კანონის 5–8 მუხლები ეხება ტურიზმისა და კურორტების დარგში სახელმწიფო პო- ლიტიკასა და სახელმწიფო რეგულირებას. მოცემულ მუხლებში განსაზღვრულია ტურიზ- მისა და კურორტების დარგის სახელმწიფო რეგულირების პრინციპები; ტურიზმისა და კურორტების დარგის მართვის აღმასრულებელი.

ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო; დარგის მართვის რეგიონული ორგანიზაციები; ტურისტული და საკურორტო საწარმოების მიერ ლიცენზიის აღების საჭიროება; დარგში მომსახურების სტანდარტიზაციის, სერტიფიცირებისა და ლიცენზირების საკითხები; ტურისტული და საკურორტო საქმიანობის სუბიექტების სახელმწიფო რეესტრის ორგანიზების პრინციპები.(**თ.ბერიძე 2016: გვ**-117)

კანონის 9–10 მუხლები დარგის ეკონომიკური საქმიანობისა და დაფინანსების ძირი- თად მიმართულებებს განსაზღვრავენ, მათ შორის, ადგენენ ინფრასტრუქტურის განვითა- რებაში სახელმწიფო ბიუჯეტის მონაწილეობის შესაძლებლობებს.

კანონის 11–13 მუხლები ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითებს, როგორიცაა: ტურისტუ- ლი მომსახურების ორგანიზება, ტურისტის დაზღვევა და უსაფრთხოების გარანტიები.

კანონის მე–14 მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფოს მონაწილეობას ტურიზმის დარგისათვის კადრების მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებში.

მე–15 მუხლი ადგენს საერთაშორისო ტურისტულ და საკურორტო ორგანიზაციებში მონაწილეობის პრინციპებს **(საქართველოს** : 1997)

საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს კურორტებსა და საკურორტო ად- გილებში საწარმოთა განთავსების, სამეწარმეო საქმიანობის, ბუნებრივი სამკურნალო რესურსებით სარგებლობისა და მოსახლეობის განსახლების აუცილებელ პირობებს. ადგენს სანიტარიული დაცვის ზონების ზოგად წესებს; განსაზღვრავს ბუნებრივი სამკურნალო რესურსების სახეობებს, სანიტარიული დაცვის ზონების ტიპებს, რეჟიმებს, საზღვრებს; სანიტარიული დაცვის ზონების და პროექტების ძირითად პრინციპებს **(საქართველოს 1998:)**.

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. აწესრიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს **(საქართველოს** 2005:).

საქართველოს კანონი საქართველოდან შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტების აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ– ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტებისა და ერთდღიანი ვიზიტიორების (შემდგომში ტურისტი) აღრიცხვას და სტატისტიკური მონაცემების ბანკის შექმნას, ხელს უწყობს დარგში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას. ტურისტთა აღრიცხვა არის ქვეყანაში ტურისტული საქმიანობის კონტროლის, რეგულირებისა და დარგის სისტემური მართვის საშუალება. კანონის მოქმედების სფერო არის ყველა ტურისტის მიმართ, რომლებსაც აქვთ საქართველოში

შემოსასვლელი ვიზა, ან რომელთა შემოსვლა ვიზის გარეშე დაშვებულია საქართ-ველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებთა მიმართ, რომლებიც ტურისტებად მიემგზავრებიან **საქართველოდან.(საქართველოს 1998 წელი**) მოცემული კანონი მოქმედებს 1998 წლის პირველი ივრიდან დღემდე და მოცემულ პერიოდში განხორციელებული არის ერთი ცვლილება 2012 წლის 12 ივნის .მოცემულ ცვლილებაში საუბარია თუ ვისზე არ ვცელდება კანონის მოქმედების სფერო .ცვლილების თანახმად საუბარია , რომ ამ კანონის მოთხოვნები არ ვრცელდება საქართველოს საპატიო მოქალაქეებზე, უცხო ქვეყნებ ის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებზე, იმ პირებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად სარგებლობენ პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, საერთაშორისო ავიახაზებ ის ტრანზიტულ ტურისტებზე (მგზავრებზე), რომლებსაც არ აქვთ უფლება, დატოვონ აეროპორტში გამოყოფილი ტერიტორია, საერთაშორისო სარეისო სატრანსპორტო ეკიპაჟების წევრებზე.

საქართველოს კანონი თავისუფალი ტურისტული განვითარების ხელშეწყობის შესახებ- ამ კანონის მიზანია საქართველოში ტურიზმის განვითარება და მეწარმეობის ხელშეწყობა, რისთვისაც ეს კანონი ადგენს პირობებს თავისუფალ ტურისტულ ზონებში სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის, ასევე საგადასახადო და სხვა შეღავათებს.კანონის მოქმედების სფერო - ეს კანონი ვრცელდება ქობულეთის, ანაკლიის, განმუხურისა და საქართველოს სხვა ტერიტორიებზე არსებულ თავისუფალ ტურისტულ ზონებზე, რომელთა კოორდინატებიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.(**საქართველოს კანონი 1998 წელი**).

მოცემულ კანონში ასევე საუბარია საშეღავათო პირობებზე .საშეღავათო პირობების თანახმად ინვესტორი თავისსუფლდება 15 წლით ქონების და მოგების გადასახადისაგან და მშენობლობის ნებართვის მოსაკრებელისაგან.ასევ საუბარი აღნიშნულ მუხლში ,რომ ინვესტორს მიწის ნაკვეთი გადაეცემა სიმბოლურ ფასად ერთ

ლარად და იბვესტორის მიერ ამ კანონით დადგენილ ვადაში სასტუმროს მშენებლობის დაუსრულებლობის შემთხვევაში სამინისტრო მას აძლევს 3 -თვიან დამატებით ვადას.ტურიზმის პოლიტიკის განვითარების მნიშვნელოვან კომპონეტს წარმოადგენს საკანონდებლობაზა , რომელიც აკონტროლებს ტურიზმის სფეროს. ჩვენ ვედავთ , რომ საკანონმდებლო კუთხით ყველა პირობა ტურიზმის განვითარებისათვის და ინვესტორების მოსაზიდად.აქვე უნდა გამოვთქვე ჩემი მოსაზრება , რომ არ მივესალმები ტერიტორიის სიმბოლურ ფასად ანუ ერთ ლარად გადაცემას ,რადგანაც ჩვენ არა ვართ ისეთი ეკონომიკურად ძლიერი სახელწიფო , რომ ჩვენს განკარგულებაში არსებული ტერიტორიები გავასხვისოთ ერთ ლარად ,როცა შეიძლება მოცემული ტერიტორიების გასხვისებით მეტი ეკონომიკური სარგებელი იპოვო. აქვე არუნდა უგუვნებელყოთ ინვესტირების რაოდენობა მოცემულ სფეროში ,ჩემის აზრით 15 წლიანი საგადასახადო შეღავათი სრულიად საკმარისია ინვესტორების მოსაზიდად.

რაც შეეხება ტურიზმის საქმიანობის ინსტიტუციეუ რეგულირებას ანუ მოცემული სამართებლივ რეგულირებას და განხორციელებაზე კონტროლს აკეთებს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი იურიდიული პირი და სახელმწიფო კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას .სწორე ტურიზმი ეროვნული ადმინისტრაცია გვევლინება ტურიზმის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოთ. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმი ისტრაციის მთავარ მისიას წარმოადგენს მდგრადი ტუსიზმის განვითარებას უზრუნველყოფას საერთაშორისო ბაზარზე ,საქართველოს ,როგორც უნიკალური ტურისტული ქვეყნის პოზიციონირებას .ტურისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა ეფექტიანი ტურიზმის პოლიტიკის განხორციეკების ფარგლებში , რაც პირდაპი კავშირიშია საქართველოს ეკონომიკუს გაძლიერებასთან. რაც შეეხება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიზანი კი არის , არასებული ტურისტული რესურსების გამოყენება საქართველოს ,როგორც ტურისტული ქვეყნის გაცნობა მსოფლიო ტურიზმის ბაზარზე და ტურიზმის პოლიტიკის

ეფექტიანად განხორციელება.ასევი მიზნის ქვეშ მოისაზრება ქვეყნის ,როგორც ბრენდის განვითარება და პოზიციონირება საერთაშორისო ბაზარზე ; ანალოგიური ტურისტული ბაზრებისათვის კონკურენციის გაწევა ;საბაზრო წილის ზრდა და ქვეყანაში არსბული ინფრასტრუქტურის განვითარება მეტი ტურისტის მოზიდვის თვალსაზისით. მოცემული თემიდან გამომდინარე შეგვიძლია თამამად ვისაუბროთ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ექეტიან საქმიანობაზე ,რადგანაც ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ტურიზმი ყოველწლიურად ვიტარდება და უფრო ვითრდება ასევე ტურიზმის პოლიტიკა.

3.2 ტურიზმის სტრატეგია საქართველოში

ტურიზმის პოლიტიკა უნდა იყოს მომავალზე ორიენტირებული, დაბალანსებული და ყოვლისმომცველი, რამდენადაც ის აერთიანებს ტურიზმით დაინტერესებული მხარეების ინტერესებს. რესურსები უნდა იყოს გამოყენებული იმისთვის რომ ტურისტებს მივაწოდოთ ის პროდუქტი რაც მათ სურთ, და ვიზრუნოთ, რომ დავიცვათ და გავზარდოთ პროდუქტის მდგრადობა. რადგანაც ტურიზმის პოლიტიკა და დაგეგმვრა მიმართულია წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსწორებისკენ, უზრუნველყოფს დადებით შედეგებს მომავალში ტურიზმის ზრდის თვალსაზრისით.

როგორც უკვე ავღნიშნეთ წინანმდებარე ნაშრომში ,ტურიზმის პოლიტიკის ეფექტიანად განხორცილება დამოკიდებული სწორად ჩამოყალიბებული ტურიზმის სტრატეგიაზე , რადგანაც ტურიზმის პოლიტიკა თავის თავში გულისხმობს გარკვეულ კურს ან მოქმედების მექნიზმს, რომელიც შერჩეულია ალტერნატივებს შორის და მოცემული პირობების ფონზე, მიმდინარე და მომავალი გადაწყვეტილებებების განსაზღვრისთვის ,სწორედ ამიტომ აუცილებელია სწორი და ეფექტური ტურიზმის განვითარების სტრატეგიის დაგეგმვა ,შემდეგ განხორციელება და განხორციელების მომენტში კონტროლი თუ რამდენად სწორედ და ეფექტურად ვითარდება დასახული ტურიზმის სტრატეგია.

ტურიზმის სტრატეგია ეს არის ტურიზმის ხედვის ,მიზნების და სამოქმედო გეგმების ერთობლიობა ,რომელიც გარკვეულ პერიოდზე არის გათვლილი და მთლიანად ჯდება ტურიზმის პოლიტიკის ჩარჩოში .ტურიზმის სტრატეგიის მეშვეობით იგეგმება მომავალში ტურიზმის სფეროში გასატარებელი ღონისძიებების ერთობლიობები

,რომელმაც მოცემული ქვეყნის ტურიზმის სფერო მსოფლიო ბაზარზე უნდა ჩამოაყალიბოს კონკურენტუნარიან და მაღალშემოსავლიან დარგად.

საქართველოს გააჩნია ტურიზმის სტრატეგია ,რომელიც შეიმუშავა საქართველოს ტურიზმის ეროვნუილმა ადმინისტრაციამ. „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“ -ის მიზანია ისეთი გზამკვლევის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის მდგრად განვითარებას, მიღებული შემოსავლების გაზრდასა და დარგის მნიშვნელობის ამაღლებას.

საქართველოს მთავრობის ამოცანაა შემუშავდეს და განხორციელდეს გეგმა, რომელიც მდიდარ ბუნებრივ და კულტურულ რესურსებს მსოფლიო დონის ტურისტულ პროდუქტად და უნიკალური შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობად აქცევს. ხსენებული მოიზიდავს უფრო მაღალგადახდისუნარიან ტურისტებს ევროკავშირის ქვეყნებიდან, ჩრდილოეთ ამერიკიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და აზიიდან.

სტრატეგიის შემუშავების პროცესი

სტრატეგიის შემუშავების პროცესი, მსოფლიო ბანკის ჩართულობით, ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. დოკუმენტის მომზადებისას გაიმართა კონსულტაციები ორგანიზაციებისა და სპეციალისტების ფართო სპექტრთან, რომელთა შორის იყვნენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების წარმომადგენლები, ტურ-ოპერატორები, სატრანსპორტო სფეროს წარმომადგენლები, ინვესტორები, დაცულ ტერიტორიებსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებელი უწყებები, წარმომადგენლები განთავსების ობიექტებიდან და სხვა დაინტერესებული მხარეები. (**საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025 - გვ** 3)

სტრატეგიის სტრუქტურა

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“ შემუშავდა ორ ეტაპად. პირველ სამუშაო დოკუმენტში მოცემულია დეტალური სიტუაციური ანალიზის შედეგები, მათ შორის, ტურიზმის მნიშვნელობის ზრდისა და ინვესტიციებიდან მაქსიმალური ამონაგების მიღების ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორები და შესაძლებლობები, ასევე მათი შესწავლა და ანალიზი.

მეორე ეტაპზე მომზადდა სტრატეგიის დოკუმენტი სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით. სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს სამოქმედო გეგმა, რომელიც ასევე განსაზღვრავს სხვადასხვა აქტივობაზე პასუხისმგებელ უწყებებს, განხორციელების 5 საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025 ვადებს, მიზნობრივ მაჩვენებლებს, საჭირო დაფინანსების წყაროებსა და შედეგების საზომ ინდიკატორებს.(**საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025 - გვ 4-5**).

საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია 10 წელზე კერძოდ 2015-2025 მდე. „**საქართველოს ტურიზმის სტრატეგია** 2025“-ში არის საუბარი იმაზე თუ რა უნდა მიაღწიოს სახელმწიფომ 2025 წლისათვის და აქვე არის „**საქართველოს ტურიზმის სტრატეგია** 2025“-ის ხედვა, მიზანი და გეგმაბი.

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ის ხედვა

აქ საუბარია ,რომ საქართველო 2025 წლისათვის ცნობილი იქნება ყველა სეზონის მაღალი ხარისხი ტურისტული ქვეყანა , რომელიც გამორჩეული იქნება მსოფლიოში ტურისტული მომსახურებით და თავის სტუმართმასპინძლობის უძველესი ტრადიციებით. ასევე საუბარია მაღალგადახდისუნარიანი ტურისტებისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზებაზე და ასევე მეტი ყურადღება დაეთმობა ვიზიტორების ხარისხსა და მრავალფეროვნებას , რომელიც გამოიწვევს ვიზიტორების მხრიდან დახარჯული თანხების გაზრდას ,რომელიც საქართველოს ეკონომიკის ზრდისთვის და განვითარებისთვის არის საჭირო.

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ის **მიზნები**

- მაღალგადახდისუნარიანი ტურისტული ბაზრებიდან საჰაერო მგზავრობის გამარტივება. ასევე, შიდა სატრანსპორტო ქსელების გაუმჯობესება, ქვეყანაში ვიზიტორთა ნაკადების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფისათვის.
- ქვეყნის კულტურული და ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებით ვიზიტორებისთვის უნიკალური და ამაღლებული შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობის შექმნა, რაზეც მზარდი მოთხოვნაა მსოფლიოს ყველაზე მაღალგადახდისუნარიან ტურისტულ ბაზრებზე.

❖ ვიზიტორთა მომსახურების გაუმჯობესება (ტრანსპორტირების, განთავსების საშუალებებისა და უცხო ენის ფლობის თვალსაზრისით), რათა ქვეყნის შესახებ მიზნობრივი მარკეტინგული აქტივობების შედეგად ჩამოყალიბებული წარმოდგენა გამართლდეს, ხოლო, ჩამოსულმა ვიზიტორებმა პოზიტიური გზავნილები გაავრცელონ საქართველოზე და განმეორებით ესტუმრონ ქვეყანას.

❖ მონაცემთა შეგროვებისა და ბაზრის კვლევის შესაძლებლობების გაუმჯობესება, უფრო მეტად მაღალგადახდისუნარიანი ტურისტული ბაზრების მოთხოვნებისა და თავისებურებების უკეთ შესწავლის მიზნით.

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ის გეგმები

❖ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაზრდა არსებული დონიდან (1.9 მილიარდი აშშ დოლარი) 6.6 მილიარდ აშშ დოლარამდე.

❖ დარგის მიერ მთლიან შიდა პროდუქტში შეტანილი პირდაპირი წილი უნდა 10 საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025 შეადგენდეს 7.9%-ს.

❖ ყოველი ვიზიტორის მიერ საშუალოდ დახარჯული თანხის გაზრდა არსებული 328 აშშ დოლარიდან 600 აშშ დოლარამდე .

❖ ტურიზმში დასაქმებული პირების რაოდენობის გაზრდა დაახლოებით 90%-ით, არსებული 158,515-დან 301,284-მდე .

❖ ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა არსებული 5 დღიდან 7 დღემდე .

❖ ტურიზმის სფეროში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 63%-ით გაზრდა, არსებული 723 მილიონი აშშ დოლარიდან 1,178 მილიონ აშშ დოლარამდე .

❖ დასავლეთ ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის მაღალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან ვიზიტორთა რაოდენობის გაორმაგება . (**საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025 - გვ 9-10**)

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“- ის სამოქმედო გეგმების განხორციელება შეგვიძლი თამამად ვთქვათ ,რომ სწორედ მიმდინარეობს იქიდან

გამომდინარე ,რომ საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილი ყოველწლიურად იზრდება და მეტიც 2018 წელს გვაქვს რეკორდული შემოსავალი ,რომელმაც 3 მლდ დოლარს გადააჭარბა. ასევე ყოველწლიურად იზრდება ვიზიტორების რაოდება ტურიზმის სფეროში. 2018 წელს ტურიზტულმა ვიზიტებმა შეადგინა 4 756 820 მლნ ადამიანი რაც 2017 წელთან შედარებით 687 466 ვიზიტით მეტია . არსებული მონაცემების გათვალისწინებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე ,რომ საქართველოში არსებული ტურიზმის პოლიტიკა სწორი კუთხით ვითარდება , რომელიც პირდაპირ დამოკიდებულია საქართველოს ტურიზმის სტრატეგიასთან .

მოცემული სტრატეგიული გეგმის განხორციელების ფარგლებში უპირველესყოვლისა მნიშვნელოვანია შედეგი ,რადგანაც არსებული შედეგით იზომება განხორციელებული სტრატეგიის ეფექტიანობა. შედეგიდან გამომდინარე ლოგიკურია შემდეგი შეკითხვის არსებობა ,თუ როგორ უნდა მიაღწიოს ქვეყანამ სასურველ შედეგს ? რა ქმედითი ღონისძიებები უნდა გაატაროს ამისთვის? .

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ში საუბარია იმაზე თუ როგორ უნდა მიაღწიოს ყვეყანამ სასურველ შედეგს და განხულილია რამოდენიმი მნიშვნელოვანი ინდიკატორები ესენია: საღელმძღვანელო პრინციპეპი ; პრიორიტეტული აქტივობები და სტრატეგიული ამოცანები.

სახელმძღვანელო პრინციპები - მოცემულ თემაში საუბარია ,რომ სტრატეგიის ეფექტიანად განვითარებისათვის და შედეგის მიღებისათვის საჭიროა სახელმწიფოს ჩართულობა კერძოდ მუნიციპალიტეტების და სახელმწიფო ხელისუფლების ;ბაზრების პრიორიტეტულობის განსაზღვრა ანუ აქ არის საუბარი მარკეტინგული ღონისძიებების ეფექტიანობაზე და კერძო სექტორის წამყვანი როლი , რომელიც თავის თავში მოიცავს მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობას.

პრიორიტეტული აქტივობები- საუბარია სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების გაზრდაზე ;ეფექტურ მარკეტინგის განხორციელებეაზე ვიზიტორების მოზიდვის თვალსაზრისით ; სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბება ტურიზმის სფეროში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით ; კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა და

საქართველოს სტუმართმოყვარეობის ტრადიციის გაცნობა ვიზიტორებისათვის ,შემდგომ გადახდისუნარიანი ვიზიტორების რაოდენობის გაზრდის თვალსაზრისით ; კონკურენტუნარიანი ტურისტული ბაზრის ჩამოყალიბება მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე .

სტრატეგიული ამოცანები- მოცემულ თემაში საუბარია ტურიზმის სფეროში ინვესტიციების გაზრდაზე ; გადახდისუნარიანი ვიზიტორების მოზიდვაზე და ეფექტიანი მარქეტინგული ღონისძიებების გატარებაზე.

დასკვნა

საქართველო წარმოადგენს გარდამავალი ეკონომიკის სახელმწიფოს, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეკონომიკის განვითარებას. ტურიზმი კი ამ მხრივ ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგს წარმოადგენს. ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება ქვეყნებისთვის ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობებს იძლევა.

საქართველოს ტურიზმის პოლიტიკა, როგორც საზოგადოებაზე ორიენტირებული პროგრესული კურსი, ეთიკურ ჩარჩოში მოქცეული მოქმედებების, მიმართულებების, დირექტივების, პრინციპების და პროცესების ერთობლიობაა, რომელიც გამიზნული დაგეგმვით, განვითარების ხელშეწყობით, საქონლისა და მომსახურების წარმოების სტიმულირებით, მდგრადი განვითარების პრინციპების გამოყენებით ქმნის საფუძველს ინდუსტრიის განვითარებისათვის.

მოცემულ ნაშრომში ასევე განვიხილეთ ტურიზმის პოლიტიკა ეკონომიკურ ჭრილში .მოცემული ინფორმაციიცან გამომდინარე შეგვიძლიათ გავაკეთოთ დასკვნა , რომ მშპ გაზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტურისმის სექტორი ,რადგანაც ტურიზმი არის საქართველოს პრიორიტეტული დარგი და წლების მანძილზე ვითარდება ტურიზმის პოლიტიკა რაც გამოიხატება იმაში ,რომ 2018 წლის მონაცემებით ტურიზმის წილი საქართველოს მშპ - ში არის 7,6 % ,რაც წინა წლებთან

შედარებით ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელია. ასევე ნაშრომში განვიხილეთ საგადამხდელო ბალანსი .2018 წლის საგადასახადო ბალანსში ნათლად ჩანს , რომ მიმდინარე ანგარიშების მომსახურების მუხლში გვაქვს დადებითი სალდო ,რაც განაპირობებს არსებული დეფიციტის შევსებას და უარყოფითი სალდოს მოცულობის შემცირებას . მომსახურების სფეროში მიღებული შემოსავლების დიდი წილი მოდის ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავალით ,რომელმაც 2018 წელს შეადგინა 3,222 მლნ (აშშ დოლარი) რაც რეკორდული მაჩვენებელია საქართველოს ტურიზმის ისტორიაში ტურიზმის სფეროდან მიღებული შმოსავლების თვალსაზრისით.

საქართველოში ტურიზმის პოლიტიკა სწორედ ,რომ ვითარდება ამას მოწმობს ვიზიტების რაოდენობა . უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2018 წელს გაზრდილია საერთაშორისო ვიზიტების რიცხვი , რომელმაც 2018 წელს 8 679 544 მლნ ადამიანს მიაღწია, რაც 2017 წელთან შედარებით 777 035 ათასი ადამიანით მეტია და პროცენტულად ,რომ ავსახოთ ეს ყველაფერი 9,8 % მეტია წინა წელთან შედარებით.აქვე უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტი , რომ 8 679 544 მლნ ადმიანიდან 1 476 194 მლნ იყო სხვა ვიზიტები (არატურისტული) ჯამში საერთაშორისო ვიზიტებს , რომ გამოვავაკლოთ სხვა ვიზიტება გვრჩება 7 203 350 მლნ ადამიანი აქედან ტურისტული ვიზითი იმყოფებოდა საქართველოში 4 756 820 მლნ ,ხოლო დანარჩენი 2 446 530 მლნ იყო ერთღიანი ვიზიტით.

ნაშრომში დეტალურად არის შესწავლილი ტურიზმის ინდუსტრიასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციები და ნორმატიული აქტები, მათი ძლიერი მხარეები და ხარვეზები.

ასევე ნაშრომში განხილილია ,,საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025 '' აქ საუბარია ,რომ საქართველო 2025 წლისათვის ცნობილი იქნება ყველა სეზონის მაღალი ხარისხი ტურისტული ქვეყანა , რომელიც გამორჩეული იქნება მსოფლიოში ტურისტული მომსახურებით და თავის სტუმართმასპინძლობის უძველესი ტრადიციებით. ასევე საუბარია მაღალგადახდისუნარიანი ტურისტებისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზებაზე და ასევე მეტი ყურადღება დაეთმობა ვიზიტორების ხარისხსა და მრავალფეროვნებას , რომელიც გამოიწვევს ვიზიტორების

მხრიდან დახარჯული თანხების გაზრდას ,რომელიც საქართველოს ეკონომიკის ზრდისთვის და განვითარებისთვის არის საჭირო.

მოცემული თემიდან გამომდინარე შეგვიძლია თამამად გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ ,რომ ტურიზმის პოლიტიკა საქართველოში სწორი კუთხით ვითარდება ,რადგანაც ყოველწლიურად იზრდება ვიზიტორების რაოდენობა და შესაბამისად ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავალი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბარკალაია ბესიკ, ჯოლია გურამ** ტურიზმის პოტენციალი, განვითარების ფორმები და პროდუქტი, II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ბათუმი, 2011.
2. **ბერიძე თამარ** ტურისტული საქმიანობის სახელმწიფო მარეგულირებელი მექანიზმებისა და რეგიონული ტურიზმის განვითარების სრულყოფის საკითხები.
3. **გულუა ეკატერინე** - მენეჯმენტის გაუმჯობესების ღონისძიებები ტურიზმის სფეროში, I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ბათუმი, 2010.

4. **ერქომაიშვილი გულნაზი** - ,,ეკონომიკური პოლიტიკის გავლენა ტურისტული ბიზნესის განვითარებაზე საქართველოში", I საერთაშორისო სამეცნიეროპრაქტიკული კონფერენცია, ბათუმი, 2010.
5. **მეტრეველი მარინა** - ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა, პირველი გამოცემა, თბილისი, 2011.
6. **მერაბ ხოხობაია** -ტურიზმის პოლიტიკის განვითარება საქართველოში
7. **ჩაგანავა პაატა** - ,,ტურიზმის პოლიტიკა", გამომცემლობა ,,უნივერსალი", თბილისი 2012.
8. **საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია** - ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და მსოფლიო გამოცდილება
9. **საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია** - "საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025,,
10. **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური** - ტურიზმის წილი მშპ
11. **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური** - მშპ მიმდინარე ფასების გამოშვება ერთ სულზე და მშპ მიმდინარე ფასებში
12. **საქართველოს 1997** - საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტის შესახებ"
13. **საქართველოს 1998** - საქართველოს კანონი ,,კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ", 1998
14. **საქართველოს 2005** - საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ"
15. **Goeldner Charles R, J.R Ritchie Brent** - Tourism, Principles, Practices, Philosophies, John Wiley Inc, 2012.
16. **Edgell David, Swanson Jason R** - Tourism Policy and Planning, Yesterday, Today and Tomorrow, 2nd edition, Routledge 2013
17. **D.Ramos Alejandro, S.Jimenez Pablo** - Tourism Development: Economics, Management and Strategy, Nova Science Publishers, Inc. New York, 2008.

გამოყენებული ვებ გვერდები

1. https://www.geostat.ge/ka
2. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=353
3. http://www.economy.ge/
4. https://gnta.ge/ge/
5. http://www.nplg.gov.ge/
6. http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=7
7. http://tourisminstitute.ge/files/attach/tourism_regulation.pdf
8. https://www.matsne.gov.ge/
9. http://bpg.gov.ge/ge/news/announcements/saqartvelos-sasazgvro-policia-sazgvris-dacvis-gadzlierebul-rejimzea-gadasuli.page